საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

26 თებერვალი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №46/17

2017 წლის 24 მარტის №-- და 2017 წლის 27 მარტის №-- საჩივრების საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 2 თებერვლის №46/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

2017 წლის 24 მარტის №-- და 2017 წლის 27 მარტის №-- საჩივრები არის იდენტური, წარმოდგენილია სხვადასხვა დროს, კერძოდ, 2017 წლის 24 მარტს და 2017 წლის 25 მარტს. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2016 წლის 1 ივნისს -- --, -- -- და -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართეს -- საქალაქო სასამართლოს -- -- მიმართ. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე ხელს უწყობს პროცესის გაჭიანურებას, 10 თვის

განმავლობაში სასამართლო სხდომა არ ჩაუნიშნავს. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსამართლე განზრახ და მიზანმიმართულად აყენებს ზიანს უცხოელ ინვესტორებს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 27 მაისს ივნისს -- --, -- -- და -- -- სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართეს -- საქალაქო სასამართლოს და სავარაუდო მოპასუხის -- -- საკუთრებაში არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება მოითხოვეს.

--საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 მაისის განჩინებით -- -- , -- -- და -- -- განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე -- -- აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული განჩინებაში მითითებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; განმცხადებლებს უარი ეთქვათ მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ქონებებზე ყადაღის დადების ნაწილში.

2016 წლის 1 ივნისს -- -- , -- -- და -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართეს -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ. მოსარჩელეებმა მხარეთა შორის სხვადასხვა დროს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების დადებულად ცნობა და უძრავ-მოძრავ ქონებაზე მესაკუთრეთა საკუთრების უფლების აღრიცხვა მოითხოვეს.

2016 წლის 6 ივნისს -- -- სარჩელის უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების შესახებ განცხადებით (გარანტიის თანხა -- აშშ დოლარი) მიმართა -- საქალაქო სასამართლოს.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის გამო მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2016 წლის 28 ივნისის -- --, -- -- და -- -- დამატებით სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებით მიმართეს -- საქალაქო სასამართლოს და სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში მიმდინარე №-- სააღსრულებო საქმის წარმოების შეჩერება მოითხოვეს.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის განჩინებით --, -- და -- უარი ეთქვათ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

2016 წლის 7 ივლისს -- სარჩელის უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების შესახებ განცხადებით (გარანტიის თანხა -- აშშ დოლარი) მიმართა -- საქალაქო სასამართლოს.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 ივლისის განჩინებით -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის გამო მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2016 წლის 27 ივლისს --, -- და -- საჩივრით მიმართეს -- საქალაქო სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ 2016 წლის 29 ივნისის განჩინების გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვეს. საჩივარს 2016 წლის 1 აგვისტოს განჩინებით დაუდგინდა ხარვეზი.

2016 წლის 5 აგვისტოს --, -- და -- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართეს -- საქალაქო სასამართლოს და მოპასუხისათვის გარკვეული ქონების (--, სოფელი --, ს/კ --) განკარგვის აკრძალვა მოითხოვეს.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 აგვისტოს განჩინებით --, -- და -- უარი ეთქვათ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. აღნიშნული განჩინება მოსარჩელეებმა გაასაჩივრეს საჩივრით.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 ნოემბრის განჩინებით --, -- და -- საჩივარი -- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 აგვისტოს განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საქმე გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს.

2016 წლის 15 დეკემბერს -- სარჩელის უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების შესახებ განცხადებით (გარანტიის თანხა -- ლარი) მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 იანვრის განჩინებით --, -- და -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 იანვრის განჩინებით --განცხადება დარჩა განუხილველი. აღნიშნული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა --

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 მარტის განჩინებით -- საჩივარი განსახილველად დაუბრუნდა -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 მარტის განჩინებით -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 მაისის განჩინებით -- საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 იანვრისა და 2017 წლის 20 მარტის განჩინებები იმ ნაწილში, რომლითაც დაუშვებლად იქნა მიჩნეული -- შუამდგომლობა/საჩივარი ქონების გაყიდვის აკრძალვის გამო ამ ქონების შენახვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივლისის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება და მორიგების გამო სამოქალაქო საქმეზე შეწყდა საქმის წარმოება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც

შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sürmeli v. Germany, §129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

მოცემულ შემთხვევაში მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2016 წლის 1 ივნისს და

მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა 2016 წლის 9 ნოემბრამდე, კერძოდ, -- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 ნოემბრის განჩინებით სამოქალაქო საქმე მოსარჩელეთა საჩივრის განხილვის მიზნით გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. საქმე -- სააპელაციო სასამართლოში შევიდა 2016 წლის 14 ნოემბერს. აღნიშნულის შემდეგ მოცემული საქმე ორჯერ გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში და დაუბრუნდა -- სააპელაციო სასამართლოს, საქმე -- საქალაქო სასამართლოში არ დაბრუნებულა, ვინაიდან, საქმეზე მორიგების დამტკიცების გამო -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივლისის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოცემული საქმე მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა დაახლოებით 5 თვის და 1 დღის განმავლობაში, ამ პერიოდში მოსამართლემ განიხილა მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არაერთი განცხადება/საჩივარი და მიიღო 5 განჩინება. ამასთან, არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2016 წლის მეორე ნახევარში მოსამართლე -- წარმოებაში იმყოფებოდა დაახლოებით 931 საქმე, დაასრულა დაახლოებით 665 საქმე (71.4 %); 2017 წლის პირველ ნახევარში მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა - 675 საქმე, დაასრულა 466 საქმე (69.0%).

ამდენად, მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლის, მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდის და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებების შეფასების მიხედვით, მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეთება საქმის განხილვის ბრალეული „უსაფუძვლო“ გაჭიანურების ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ 2017 წლის 24 მარტის №-- და 2017 წლის 27 მარტის №-- საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავდა მოსამართლე -- -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური

საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №46/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი